გენური ინჟინერიის მიღწევებმა სიბერის შეჩერების ან ადამიანის სხეულის ქსოვილების და ორგანოების გაახალგაზრდავების შესაძლებლობის მიმართულებით, სამედიცინო წრეების დაინტერესება და დებატები გამოიწვია.

ცნობილია, რომ დაბერების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული გენომის არასტაბილურობასთან, ტელომერების შემცირებასთან, დნ-ის ეპიგენეტიკურ ცვლილებებთან და პროტეოსტაზთან, ასევე ლეროვანი უჯრედების მარაგის შემცირებასთან და მრავალი სხვა.

ბოლო წლებში დაბერების შეჩერებისა და გაახალგაზრდავების შესაძლებლობის შესწავლის ძირითადი მიმართულებები მოიცავს გენომის თანმიმდევრობის და ანალოზის შესწავლას, დაბერებასთან დაკავშირებული გენების იდენტიფიცირებას, დაბერების ეპიგენეტიკური მექანიზმების და ინტერვენციის პოტენციური მიზნების, უჯრედების დაბერების პროცესის შესწავლას, სხეულის ორგანოებიდან და ქსოვილებიდან დაბერებული უჯრედების მოცილების (სენოლიზურ თერაპიას), ლეროვანი უჯრედების რეგენერაციული უნარის გამოყენებას დაბერებული ქსოვილების გაახალგაზრდავებისა და მათი ფუნქციონირების აღსადგენად და მრავალი სხვა.

ამ მიმართულებით ჩვენს დეპარტამენტში მიმდინარე სამედიცინო კვლევები, ეხება დაბერების პროცესის შეჩერებას

რებული უჯრედების შესწავლას, ეფექტური სენოლიტიკების აღმოჩენასა და მათ გამოყენებას სიბერით გამოწვეული დაავადებების პრევენციისათვის. ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ დაბერებული უჯრედები გამოყოფენ უამრავ სასიგნალო მოლეკულას, მაგალითად, SASP, რომელიც ცნობილია, როგორც სეკრეტორული ფენოტიპი და ასოცირდება დაბერებასთან. ასევე, მონოციტების ქემოატრაქტანტი ცილა-1 (MCP-1), რომელიც იზიდავს მონოციტებს, ხელს უწყობს ანთებას და იმუნური უჯრედების რეკრუტირებას დაბერებული უჯრედების მიდამოში. კვლევებმა, ასევე, გვიჩვენა, რომ დაბერებული უჯრედები გამოყოფენ მატრიქსის მეტალოპროტეინაზებს (MMPs3 და MMPs10), რომელიც მონაწილეობს ქსოვილის რემოდელირებაში და უჯრედგარე მატრიქსის დეგრადაციაში. ბოლო წლებში დადასტურდა, რომ დაბერებული უჯრედების აღმოფხვრა გენეტიკური ან ფარმაკოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ხელს უწყობს დაბერებასთან დაკავშირებული დაავადებების პროფილაქტიკას. ჩვენ გამოვიყენეთ დეპარტამენტში შემუშავებული სრულიად ახალი procyanidin C1-ჯგუფის სენოლიტიკი, რომელიც მიღებული იყო შავი ყურძნის მარცვლიდან.

საქართველო ღვინის სამშობლო ითვლება ღვინის წარმოების ხანგრძლივად და მდიდარი ისტორიის გამო, რომელიც ათასობით

სხვადასხვა დაავადების პრევენციისთვის, ოღონდ, აქ მნიშვნელობა ენიჭება ღვინის შემადგენლობას, ყურძნის ჯიშს, რეგიონს, სადაც ის იზრდება, ყურძნის მოყვანისა და ღვინის დაყენების მეთოდებს. მაგალითად, Fleisch-მა (1998) დაადგინა, რომ მხოლოდ იტალიურ და ფრანგულ შავ ღვინოებს, რომლებიც წარმოებულია კასრებში (Bordeaux, Chateaufeuf-du-Pape, Barolo) შეუძლიათ გამოიწვიონ NO-დამოკიდებული რელაქსაცია ვირთავის აორტაში და ადამიანის კორონარულ არტერიებში. სხვა ავტორებმა, ასევე, დაადგინეს, რომ შავი ღვინი (Chateaufeuf-du-Pape) და არა თეთრი (Chateau Villotte Bordeaux) ხელს უწყობს სისხლძარღვთა სისტემებში სისხლის შედეგების თავიდან აცილებას (Demrow et al., 1995). ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს პოლიფენოლები.

ბოლო წლებში ცნობილი გახდა, რომ ყურძნის ნიჰინიდან მიღებული ნივთიერება „პროციანიდინი“, შეიძლება, კიბოს პრევენციისა და მკურნალობის პერსპექტიული პრეპარატი გახდეს. დადგინდა ისიც, რომ „პროციანიდინი“ აფერხებს სხვადასხვა სახეობის კიბოს უჯრედების პროლიფერაციას „ინვიტორი“ და ინვიტორ-ის პირობებში. „პროციანიდინი“ აქვს მრავალი სამიზნე, რომელთაგან ბევრი უჯრედშია და სხვადასხვა გზების კომპონენტებს წარმოადგენს, მათ შორის: პროანტიბიოტიკული მუამავლები, უჯრედების გადარჩენისა და აპოპტოზის რეგულატორები, ანგიოგენური და მეტასტაზური მუამავლები და სხვა.

ჩვენს ინტერესს წარმოადგენს „პროციანიდინი“, როგორც სენოლიზური საშუალება. ავტორები აღნიშნავენ, რომ „პროციანიდინი“-ს გამოყენება ზრდის თავების სიცოცხლის ხანგრძლივობას დაბერების უჯრედებზე ზემოქმედების გზით. „პროციანიდინი“ C1-ის ტესტირება მოხდა ლაბორატორიულ თავგებზე. „პროციანიდინი“ C1 (PCC1) ინიექციის სახით შეყვანილი იყო 24-დან 27 თვემდე ასაკის თავგებში. ადამიანთან მიმართებაში, ეს არის, დაახლოებით, 75-დან 90 წლამდე ასაკი. მიღებული

იყო საოცარი შედეგი. მაგალითად, თავგებმა, რომლებმაც მიიღეს „პროციანიდინი“ C1 (PCC1), ჰქონდათ 70%-ით მეტი სიცოცხლის ხანგრძლივობა, თანატოლებთან შედარებით, რომლებიც იმყოფებოდნენ დაკვირვების ქვეშ, „პროციანიდინი“ C1 (PCC1) შეყვანის გარეშე.


სამედიცინო ბაზარზე გამოჩნდა ბიოტექნოლოგიური სტარტაპები, რომელიც მიზნად ისახავს დაბერების წინააღმდეგ ბრძოლას; ასევე, სტარტაპები, რომლებიც მიმართულია ადამიანის ორგანოების (ტვინი, გული, ღვიძლი, ფილტი, თირკმელი და სხვა) სრული გაახალგაზრდავებისკენ. ამ სტარტაპების განვითარებისთვის ძალიან დიდი ფინანსები გამოყვეს ისეთმა ინვესტორებმა, როგორც არიან: Amazon-ის დამფუძნებელი ჯეფ

ბეზოსი, OpenAI-ის აღმასრულებელი დირექტორი სემ ალტმანი, ასევე, ილონ მასკი და სხვები. ჩვენ გვაქვს სურვილი ჩავეერთოთ ამ სტარტაპებში. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მეორე მიმართულება ეხება იპოვნის მეცნიერის, პროფესორ შინია იამანაკას, ფაქტორების გამოყენებას ქსოვილების, ორგანოების თუ მთელი სხეულის გაახალგაზრდავებისთვის. იამანაკას ტრანსკრიფციის ოთხი ფაქტორი - Yamanaka transcription factors (Oct3/4, Sox2, c-Myc, Klf4) წარმოადგენს ცილებს, რომელსაც შეუძლია სრულად მომწიფებული დაუზიანებელი უჯრედი გადაიყვანოს ემბრიონის მსგავსი უჯრედის მდგომარეობაში (iPSCs). ამ აღმოჩენისათვის კიოტოს უნივერსიტეტის მკვლევარს Shinya Yamanaka-ს 2012 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

ბოლო წლებში ლიტერატურაში გამოჩნდა პუბლიკაციები, რომლებიც ეხება დაბერებული უჯრედების გაახალგაზრდავებას იამანაკის ფაქტორების გამოყენებით. რადგან, ინდუციური პლურიპოტენტიური ლეროვანი უჯრედების (iPSCs) წარმოშობისთვის არ არის საჭირო ადამიანის ემბრიონიდან მიღებული უჯრედები, ჩვენ ვივარაუდებთ, რომ შესაძლებელია iPSCs წარმოებით გამოყენება დაბერებული ქსოვილებისა და ორგანოების გაახალგაზრდავებისთვის.

დაბერებულ ცხოველებზე ჩატარებულმა ნინასწარმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ iPSCs უჯრედებმა ტრანსპლანტაციის შემდეგ საგრძობლად გააუმჯობესა ისეთი ორგანოების და ქსოვილების ფუნქცია, როგორც: გული, ტვინი, ფილტი და კუნთები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახლო მომავალში ჩვენ შევძლებთ ადამიანის დაბერების პროცესის შეჩერებას. თუმცა, სიბერის შეჩერების მეთოდების გამოყენებასთან ერთად, იხადება რამდენიმე კითხვა: მაგალითად, გამოიწვევს თუ არა სიბერის შეჩერება ან ადამიანის გაახალგაზრდავება დედამინაზე ადამიანთა პოპულაციის ზრდის პრობლემას? შესაძლებელია თუ არა სიბერის შეჩერების მეთოდების სამართლებრივად თანაბრად განაწილება ინდივიდებს შორის? რადგან, როგორც ცნობილია, სიბერის შეჩერების ტექნოლოგიები საკმაოდ ძვირია და ისინი მიუწვდომელი შეიძლება გახდეს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით, დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში. ასევე ცნობილია, რომ გენური თერაპია, ლეროვანი უჯრედებით თერაპია და პერსონალიზებული მედიცინა, ქმნის ფინანსურ ბარიერებს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არა აქვთ ადეკვატური ჯანმრთელობის დაზვევა ან ფინანსური რესურსები.


ამ გამოწვევების გადაჭრა მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელმაც უნდა გააერთიანოს ეთიკური პრინციპები, პოლიტიკური ნება და გლობალური თანამშრომლობა. რაც შეეხება მოსახლეობის ჭარბ რაოდენობას, ყველა თანხმდება, რომ ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ ავთვისებიანი სიმსივნის, გულის დაავადებების და ალცჰეიმერის დაავადების მკურნალობა, რაც გაახანგრძლივებს ადამიანის ცხოვრებას და ხელს შეუწყობს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას. თუმცა, როგორც სტატისტიკით მტკიცდება, ამჟამად, თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში აღინიშნება მოსახლეობის მკვეთრი შემცირება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ სიბერის შეჩერება ან გაახალგაზრდავება არ გამოიწვევს მოსახლეობის პოპულაციის მკვეთრ ზრდას.



და სხეულის გაახალგაზრდავებას. ვმუშაობთ ორი მიმართულებით. პირველი მიმართულება მიზნად ისახავს ქსოვილებსა და ორგანოებში არსებული დაბე-

წელს მოიცავს. ასევე, ცნობილია, ყურძნის სამკურნალო თვისებები. მაგალითად, მრავალი ავტორი აღნიშნავს, რომ სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლები ტიპი - 2 დიაბეტით, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, გულის შეგუბებითი უემარისობით და ინსულტით დაკავშირებულია მსუბუქი და ზომიერი შავი ღვინის ზომიერ მოხმარებასთან. „ფრანგული პარადოქსი“ არის საფრანგეთის მოსახლეობაში გულის კორონარული დაავადების დაბალი მაჩვენებელი, გაჯერებული ცხიმების მაღალი მოხმარების ფონზე; ეს ფენომენი იხსნება შავი ღვინის მოხმარებით და მისი კარდიოპროტექტორული ეფექტის გავლენით ადამიანის ჯანმრთელობაზე.


მკვლევრები, ასევე, აღნიშნავენ, შავი ღვინის ეფექტურობას



კვირგამა

აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი 100

რთულია წარსულ დროში საუბარი ისეთ გამორჩეულ პიროვნებაზე, როგორც შესანიშნავი მკვლევარი და მეცნიერი, მრავალმხრივ განათლებული და უსაზღვროდ ნიჭიერი პროფესიონალი, ჩემი მასწავლებელი, აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი იყო. 2024 წლის 25 მარტს ბატონი ვახტანგი 100 წლის გახდებოდა.



ლვანოსილი მასწავლებელს ყოველთვის პატივისცემით ვიხსენებ, მით უფრო, როდესაც იგი უკვე ჩვენს შორის აღარ არის. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტი მოგონებებით ივსები და ხანდახან აღმოაჩენ კიდევ, რომ ისე იქცევი, როგორც შენი მასწავლებელი მოიქცეოდა; ხშირად, ცდილობ დაემსგავსო მას, თითქოს მის შექებას ელოდები, გრძნობ მის მზერას, თითქოს, საიდანაც გამხსენებებს, მხარში გიდგას, მისი სულის სიტბოთი ივსები და მზად ხარ, შეუძლებელიც შეძლო. ვახტანგის დროსაც კი ხშირად მიგრძენია ბატონი ვახტანგის უხილავი მხარდაჭერა და თანადგომა. ბატონი ვახტანგი გვიფარავდა და სიყვარულით ვახსენებებოდა.

„მამა რაჭველი მყავდა, დედა იმერელი, მე კი კახელი ვარ, მთელი არსებით თელაველი. დავიბადე ლავანდების რაიონში, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული რაჭველებით დასახლებულ პატარა სოფელ გიორგეთში. 8 თვის ვიყავი, როდესაც ეს სოფელიც დაეტოვეთ, რადგან მალარია მძვინვარებდა. სკოლა თელავში დავამთავრე, - იხსენებდა ბატონი ვახტანგი.

ვახტანგ ბოჭორიშვილი ახალგაზრდობიდანვე თეატრით იყო გატაცებული. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ დამთავრება ვერ შეძლო ჯანმრთელობის გაუარესების გამო. თუმცა, ძალიან საინტერესო თეატრალური ისტორია აქვს: იყო რეჟისორი თელავის, რუსთაველის და სოხუმის თეატრებში. შემდგომ სწავლა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, დაიწყო ბატონი ვახტანგის სამედიცინო მოღვაწეობა.

ვახტანგ ბოჭორიშვილი საქართველოში 1969 წელს დაბრუნდა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგედ დაინიშნა, როგორც კონსულტირებადი ინფექციური უსაზღვრო იყო მისი ღვაწლი როგორც ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის, ისე - ექიმთა აღზრდისა და დახელოვნების საქმეში. არაჩვეულებრივი ნიჭის და მესხიერების წყალობით, ზეპირად იცოდა „გეფხისტყაოსანი“, მრავალი უცხოელი თუ ქართველი მწერლის შემოქმედება. ბატონი ვახტანგის ლექცია ერთგვარი სპექტაკლი იყო - მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული, ღრმად და საინტერესოდ წარმოდგენილი სამედიცინო თემატიკით.

1970 წელს, „ქოლერის ქართველი მკვლევარი“, საქართველოში ქოლერას მსხვერპლის გარეშე ამარცხებს, მაშინ, როდესაც იმდროინდელი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში ქოლერით ლეტალობა მაღალი იყო. იმავე წელს იგი საქართველოს ჯანდაცვის მინისტრად ინიშნება.

ამავდარი ექიმი და მეცნიერი ბაადურ რაჭველიშვილი ბატონი ვახტანგის შესახებ წერდა: „ჯერ კიდევ 1973 წელს, ვახტანგ ბოჭორიშვილმა ლექციაზე (Актовая речь) მისთვის ჩვეული ოსტატობით ჩამოაყალიბა კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ინფექციონისტთა მიღწევები ყველა პროფილის კლინიკურ დაწესებულებებში უნდა ყოფილიყო დაწესებული. იგი ფიქრობდა, რომ თითქმის ყველა სომატური დაავადების ეტიოპათოგენში არის ინფექციური გამომწვევი. რამდენიმე წლის შემდეგ, ოურენისა და მარშალის ბრწყინვალე აღმოჩენამ, რომ ქრონიკული გასტრიტის და წყლულოვანი დაავადების მიზეზი ინფექციური აგენტია, სავსებით დადასტურა ბატონი ვახტანგის მოსაზრება სომატურ დაავადებათა პათოგენში ინფექციური აგენტის წამყვანი როლის შესახებ.“

ბატონმა ვახტანგმა 1973 წლიდან დაიწყო სეფსის თემაზე მუშაობა და, უკვე 1979 წელს, დაარსდა სეფსისის ცენტრი ინფექციური საავადმყოფოს, რესპუბლიკური საავადმყოფოს ჩირქოვანი ქირურგიული განყოფილების, ჩაჩავას გინეკოლოგიური განყოფილების და ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე; ყველას თვითონ ხელმძღვანელობდა, 1987 წელს კი სეფსისის ცენტრისთვის ცალკე შენობა აშენდა.

სეფსისის ცენტრის უნიკალურობა მის მაღალორგანიზაციულ დონეზე ფუნქციონირებაში მდგომარეობდა, რაც ბატონი ვახტანგის დამსახურებაა. მან ჩამოაყალიბა სეფსისით დაავადებულით სამედიცინო მომსახურების პრინციპები. 1981 წელს, მსოფლიოში პირველმა, შექმნა გემური სწავლების ციკლი სეფსისოლოგიაში და, საქართველოს მაგალითზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის 9 ქალაქში შეიქმნა მსგავსი ცენტრები, რომლებიც აერთიანებდა თერაპიულ, პედიატრიულ, ქირურგიულ და რეანიმაციულ განყოფილებებს.

ყველამ, ვინც იცნობდა ბატონ ვახტანგს, ვინც ექიმთა დახელოვნების კათედრაზე აიმაღლა კვალიფიკაცია, იცოდა როგორი მომსახურელი, ორატორი, ლექტორი თუ მოსაუბრე გახლდათ. აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ბატონი ვახტანგის ნიჭით, განსწავლულობით და გარეგნობით მოხიბვლილ კოლეგები, პრაქტიკოსი კლინიკისტი, სხვადასხვა კათედრის თანამშრომლები, პროფესორები, დოცენტები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან.

1985 წელს მას, რამდენიმე ქართველ კოლეგასთან ერთად, მიენიჭა საქართველოს მთავრობის მაღალი ჯილდო - სახელმწიფო პრემია. 1988 წელს აირჩიეს საკავშირო სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპოდენტად, ხოლო 1989 წელს - ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. 75 წლის ასაკში საქართველოს პარლამენტში ფრაქცია - „XXI საუკუნის“ ლიდერი იყო. „პოლიტიკაში ჩემი ნაშუის გამო აღმოვჩნდი“, - აღნიშნავდა იგი.

ქვეყნის და ხალხის წინაშე ვალდებულ იმავადარი პიროვნება 2002 წლის 11 სექტემბერს გარდაიცვალა. ღვაწლმოსილი ექიმი და მეცნიერი დასაფლავებულია დიდუბის საზოგადოებრივ პანთეონში; თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის გამართა კვეთაზე დგას მისი ბიუსტი, დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩა კი მის სახელს ატარებს.

დაბოლოს, მინდა ბატონი ვახტანგის სიტყვები გავისმინო: „ჩვენ, ყველას, გვიყვარს ჩვენი სამშობლო, მაგრამ ყოველი ჩვენგანი სწორედ იმდენს ფასობს, რამდენი დღეც სამშობლოსთვის შრომაში დაუღამა და რამდენიც მასზე დაფიქრებულს დასთენებია. და როცა ასეთ დღეთა რაოდენობა ჩვეულებრივ (მრავალთათვის დამახასიათებელ) საზღვარს ასცდება, მაშინ ადამიანი ამარცხებს სიკვდილს და იძენს უკვდავებას. იგი ცოცხლობს მის მონათესავე აზროვნებასა და საქმეებში, ხალხის მესხიერებაში“. დიას, თქვენ ჩვენში ცოცხლობთ, ბატონო ვახტანგ!

გახსენება მისივე ლექსით მინდა დავამთავრო: „დიდო და პატარავ, ქალწო და ვაჟკაცი! მალე მომელოცოს ქვეყნის აწენება, და ამ ოღრო-ჩოლორო საშუა შარავზაზე, ბედის ბედაურის ლალად გაქენება. უფალს მოუცია ჩვენთვის ყველაფერი, მთები აზიდული, ტვერი მიჯარული, ღმერთო, შეგვასწავლე, ღმერთო შეგვასწავლე, მოძმის მიტყუებაც, მოძმის სიყვარულიც. გულს ნუ გავგვიკვავებ, მაღლი დაგვიკვავე, ძალა გავგვიმრავლე, ძმათა შეერთებით; დილა გავგვითენე, ერთად დაგვაყენე, ერთად დაგვაყენე, ღმერთო გვედრებე!“

სისხლის უანგარო დონაცია თსსუ-ში



უსაფრთხო სისხლის დონაცია არაერთი ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის შენარჩუნების საწინდარია, სისხლის მარაგის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის უანგარო დონაციის აქციებს, რომელიც თსსუ-ში ტრადიციულ ხასიათს ატარებს და წელიწადში რამდენჯერმე ტარდება. აქციაში აქტიურად ერთვებიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, თანამშრომლები, სტუდენტები.

15 მარტს სისხლის უანგარო დონაციის აქციაში მონაწილეობა მიიღეს თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა და კანცლერმა, ბატონმა ალექსანდრე ბუაჩიძემ; ასევე, ქართველმა და საერთაშორისო სტუდენტებმა. ღონისძიება, ტრადიციულად, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა, რომლის პრეზიდენტი, ლადო გაბუნია, ამავდროულად, დონორთა ორგანიზაციის - „აჩუქე სიცოცხლე“ - დამფუძნებელიც გახლავთ. ჩვენ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ მას:

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სისხლის უანგარო დონაციის აქცია თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის და დონორთა ორგანიზაციის - „აჩუქე სიცოცხლე“ - პარტნიორობის ფარგლებში ტარდება. რამდენად ვიცით, აღნიშნული ორგანიზაციის დამფუძნებელი ბრძანდებით, როდის და რატომ დაგებად დონორთა ორგანიზაციის შექმნის იდეა?

- თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა მრავალი წელია აქტიურად არის ჩართული სისხლის უანგარო დონაციის პოპულარიზაციის კამპანიაში და სისტემატურად ატარებს დონაციის მხარდაჭერა აქციებს. ამ მნიშვნელოვან საქმეში შეტანილი წვლილისთვის მან ზედინზედ სამჯერ დაიმსახურა მაღლობის სიგელი. დონორთა ორგანიზაციის შექმნის იდეა დაახლოებით ორი წლის წინ დაგებად, რადგან მიმართა, რომ ეს დღეს სამედიცინო სფეროში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა; გარდა ამისა, ჩვენი მხრიდან დიდი იყო სურვილი, უფრო ფართო მასშტაბში მიეღო დონორობის მხარდაჭერა კამპანიას და როგორც სტუდენტების, ჩვენი თანატოლების, ასევე, მოსახლეობისთვისაც მიგვეწოდებინა ზუსტი ინფორმაცია და სისხლის უანგარო დონაციის აქციაში ჩართვის შესაძლებლობა მიგვეცა. აღნიშნული ორგანიზაცია თითქმის ერთი წელია, აქტიურად საქმიანობს.

- დღეს საქართველოში არაერთი სისხლის ბანკია, რომელთა მეშვეობით წელიწადში დონაციის ათასობით აქცია ხორციელდება. რას გვეტყვით პარტნიორი სისხლის ბანკის შესახებ?

- ჩვენი პარტნიორი სისხლის ბანკი თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული შ.პ.ს. - „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურია“, რომელიც, სახელმწიფო სისხლის ბანკია; ამავდროულად, ის დონორებს მაქსიმალურად მათზე მორგებულ კომფორტულ გარემოს უქმნის. სწორედ ამის გათვალისწინებით შევარჩეთ მასზე არჩევანი. დონორების მაღალი ნდობის ფაქტორი და რეგულარული დონაცია მათ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

- სისხლის უანგარო დონაციის მხარდაჭერა კამპანიაში ჩართულნი არიან თსსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები. რამდენად მზარდია დონორობის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად და წელს რამდენად აქტიურად ჩაერთვნენ მსურველები აქციაში?

- სისხლის უანგარო დონაციის აქციას სისტემატურად, ხშირად - ორი თვის შუალედით, ვატარებთ და ყოველ ჯერზე იზრდება დონორობის მსურველთა რაოდენობა. ამჯერად აქციაში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა დონორმა.

ჩვენ ხშირად ვატარებთ ანონიმურ გამოკითხვებს როგორც დონორებში, ისე მოსახლეობაში და ვადგენთ, თუ რისი გავლენა შეიძლება დონორებისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად, ასევე, რა დამატებითი ღონისძიებებია საჭირო უსაფრთხო სისხლის და სისხლის პროდუქტების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მუდმივი დონორების რიცხვის ზრდისთვის. სწორედ ასეთი კვლევების დახმარებით ვახერხებთ ყოველ მომ-

დევნო აქციაზე დონორთა რაოდენობის ზრდას. - სისხლის უანგარო დონაციის ბევრი სამოქალაქო ვალდებულებად მიიჩნევა, ზოგისთვის კი - გმირობის ტოლფასია, თუმცა საკამათო არ არის მისი შედეგი - მრავალი გადარჩენილი სიცოცხლე და გამოჯანმრთელებული ადამიანი...

- სისხლი ერთადერთი პროდუქტია, რომლის ანალოგის შექმნა დღემდე ვერ მოხერხდა, იგი ყოველთვის დეფიციტშია, რადგან მისი შემცველი ხელოვნური სხნარა არ არსებობს. შესაბამისად, სისხლის მიღების ერთადერთი წყარო ადამიანია, მხოლოდ მას შეუძლია გასცეს სისხლი, ერთჯერადად გაღებული სისხლით კი სამ ადამიანს აჩუქოს სიცოცხლე. დონორობა არის ქმედება, რომელიც სარგებლის მომტანია როგორც რეციპიენტის, ისე დონორის ჯანმრთელობისთვის. ორგანიზაციის სახელწოდებაც - „აჩუქე სიცოცხლე“ - ყველას მოუწოდებს წვლილი შეიტანოს სიცოცხლის გადარჩენაში, რაც საამაყო ნებისმიერი ადამიანისთვის.

ჩვენ ვესაუბრეთ, ასევე, შ.პ.ს. „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ გენერალურ დირექტორს, როლა შავლაყაძეს, რომელმაც აღნიშნა:

- „შ.პ.ს. „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“ თბილისის მერიის 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სისხლის ბანკია, სტრატეგიული და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი, რომლის ძირითადი მიზანია სისხლის და სისხლის კომპონენტების მარაგის შექმნა და კლინიკებისთვის უსაფრთხო სისხლის დროული მიწოდება. სწორედ ამაზეა დამოკიდებული პაციენტის სიცოცხლის გადარჩენა და ჯანმრთელობის შენარჩუნება, ხოლო უსაფრთხო სისხლის მარაგის შექმნა დამოკიდებულია დონორებზე, რომლებიც უანგაროდ გაიღებენ სისხლს.

შ.პ.ს. „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მჭიდრო თანამშრომლობით, აქცია - „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ - წელიწადში რამდენჯერმე იმართება. სისხლის უანგარო დონაციის აქციაში აქტიურად მონაწილეობენ როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. საქართველოში უანგარო რეგულარული დონორობის სისტემის ხელშეწყობასა და განვითარებაში ლომის წვლილი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, რომელიც მაგალითია სხვა უმაღლესი სასწავლებლებისთვის.

მომავალი ექიმები წლიდან წლამდე უფრო მეტი აქტიურობით ერთვებიან მოქალაქეობრივ, ჰუმანურ სოლიდარობის აქციაში, რადგან, როგორც მომავალ მედიკოსებს, ყველაზე მეტად აქვთ გათავისებულება სისხლის დონაციის მნიშვნელობა, მათ კარგად იციან, რომ ერთჯერადად გაღებულმა სისხლმა, შესაძლებელია, სამი ადამიანის სიცოცხლე გადარჩინოს ან ჯანმრთელობა შეუნარჩუნოს მათ.

სისხლის უანგარო დონაციის აქციების აქტიურ ორგანიზებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარდამავალ პერიოდში, რადგან, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში, ახალი კანონით, რომელიც საქართველოში, 2025 წლიდან ამოქმედდება, სისხლის დონაცია, ნებაყოფლობითობისა და უანგარობის პრინციპს დაფუძნდება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წვლილი კი ამ თვალსაზრისით განუზომელია. მაღლობა ამ გმირობისთვის!

დავასრულებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის სიტყვებით: „ჭეშმარიტად ქველმოქმედი არიან, ვინც მოყვასის გადასარჩენად აპარებენ საკუთარ სისხლს. გაჭირვებულისათვის ერთი ჭიქა წყლის მიწოდებაც მაღალი ღვათის ნიშანია; მითუქმეტს დასაფასებელია ღვაწლი მათი, ვინც სისხლის გაღებით სიცოცხლეს შეუნარჩუნებს განსაცდელში მყოფთ. ღმერთმა დალოცოს ყოველი ადამიანი ამ მაღლის მოქმედი“.

ნატო გოლკვაძე



გალვინა ჯავახაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციური სნეულებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, გელოვანის მინერალთა დოქტორი, აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკის აპიდემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სინათლე ჩვენს ფანჯარაში

ჩემთვის რომ ეკითხათ, თუ რას მივიჩნევდი ნებისმიერი უმაღლესი სკოლის სიმტიკის და სიდიდის საფუძვლად, პირველ რიგში, – მრავალმხრივ განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგების სიმრავლეს დავასახელებდი, – უცილობლად საჭირო განვითარების უნარებით და სიხალეთა „მაჯისციემის“ ზუსტი შეგრძნებით.

... გამიმართლა და – არა მხოლოდ მე – ახლა ქალბატონ ელენეს ვუსმენ, ალბათ ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშნულით და კიდევ – დიდი პიროვნული შარმით დაჯილდოებულ სამედიცინოელს.

ვფიქრობ: ალბათ, სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო – ის ზომ იმ დიდი და არაერთ დროში პატივცემული ოჯახის გენეტიკური შთამომავალია, ათეულობით სახელგანთქმულ საზოგადო მოღვაწეს, მათ შორის, – საკუთრივ აღიარებულ ექიმს, რომ ითვლის და მნიშვნელოვანი როლი აქვს შეტანილი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეთა კეთებაში.

ელენე ფალავა – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია, ცოდნითა და ნიჭიერებით შემკული პიროვნება, ისეთი, სტუდენტები რომ ადვილად გამოარჩევენ ხოლმე და გულღიად და დაუფარავად შეუძლიათ მასზე საუბარი...

სამკურნალო ფაკულტეტის წარჩინებით დასრულებას მალევე სამეცნიერო ხარისხის ასეთივე წარმატებული მოპოვება მოჰყვა. მერე ჯანდაცვის მიმართულ ირჩია – ეპიდემიოლოგიაში პოსტდოქტორული სწავლების კურსების გავლის შემდეგ ლონდონის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მაგისტრი გახდა.

– ძალიან მომწონს ჩემი პროფესია, მისი ნებისმიერი შემადგენელი ნაწილით. განსაკუთრებით – სტუდენტებთან მუშაობა, – გვეუბნება ქალბატონი ელენე და უფრო ნათლად ვრწმუნდება იმაში, რომ მის ქართულ თუ საერთაშორისო სტუდენტებს განსაკუთრებულად მოსწონთ მისი ლექციები.

ელენე არა მარტო თავისი საქმის სპეციალისტია, მან აგრეთვე გაიარა თსუ-ის ხელშეწყობით ორგანიზებული კურსები სამედიცინო განათლებაში და გახდა სამედიცინო განათლების (AMEE – სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის) სპეციალისტიც.

– ძალიან მადლობელი ვარ ჩვენი უნივერსიტეტის, რომ შესაძლებლობა მოგვცა

ამ დარგშიც სპეციალისტები გავმდარდით.

ელენეს საუბრიდან ვიგებთ, რომ ის თავისი სტუდენტებისგან არა მარტო ბიოსტატისტიკისა და ეპიდემიოლოგიის ცოდნას მოითხოვს, არამედ ცდილობს, მათში ლოგიკური აზროვნებაც განავითაროს, რომ მასალა კი არ დაიზეპირონ, არამედ ისწავლონ, თუ როგორ მივიდნენ სწორ პასუხამდე.

– ზოგჯერ ჩათვალაზე სტუდენტებს საშუალებას ვაძლევ, წიგნში ჩაიხედონ. AMEE-ის თანახმად, ეს ახალი მეთოდია – „ლია წიგნის მიდგომა“, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს, გადახედოს წიგნს თუ ჩანაწერებს და გაიხსენოს, რაც იცის. რასაკვირველია, თუ სტუდენტს არ უმეცადინია, ეს ჩახედავს არაფერს მისცემს. სხვათა შორის, ბაბუაჩემის ყოფილი სტუდენტებისგან გამიგონია, რომ გამოცდაზე მათ უფლება ჰქონდათ, გამოეყენებინათ სახელმძღვანელოები, – ამბობს ელენე და ყველასთვის საყვარელ ბატონ ირაკლი ფალავას, დიდ პროფესორს, პედაგოგს და პიროვნებას, იხსენებს.

ორი სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებიც ჰყავს ელენეს. მათთან და სტუდენტებთან სამეცნიერო საქმიანობას ეწევა და კვლევის შედეგებსაც სისტემატურად აქვეყნებს. მნიშვნელოვანია, რომ დღეისთვის, მისი ხელმძღვანელობით, უკვე თერთმეტმა მაგისტრმა მოიპოვა ხარისხი; არის, ასევე, ერთი დოქტორანტი თემის თანახმდღევანელიც; საკუთრივ თვითონ კი, 70 პუბლიკაცია აქვს გამოქვეყნებული (ციტირების ინდექსი – 363).

– რატომ არა პედაგოგია, ან სხვა რომელიმე კლინიკური დისციპლინა? – ამ კითხვაზე საპასუხოდ, მამის, აღიარებული პედაგოგის, პროფესორ ყარამან ფალავას, სიტყვები ახსენდება: „კარგი კლინიკისტი იქნებოდიო“. თუმცა, ისე გამოვიდა, რომ კლინიკურ მუშაობას თეორიულ დისციპლინაში სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა არჩია. მთავარია, რომ აკეთებს იმ საქმეს, რაც უყვარს.

– ძალიან საინტერესო დროს ვცხოვრობთ, – ამბობს ელენე და ურჩევს სტუდენტებს: „Carpe Diem“ – ყოველი მომენტი უნდა გამოვიყენოთ სწავლისა და თვითრეალიზაციისთვის.

ელენეს ჰობი არის უცხო ენები. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას საუკეთესოდ დაეუფლა ინგლისურს, როგორც ამბობს, – „საერთაშორისო დელეგაციებსაც უტარებდა ექსკურსიას განთქმულ „კობახიძის

სკოლაში“. უნივერსიტეტის დამამთავრებელ სემესტრში კი ატლანტაში – ემორის უნივერსიტეტში იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით. მისი დასრულების შემდეგ არჩევანის წინაშე დადგა – ამერიკული რეზიდენტურა გაველო თუ შინ დაბრუნებულიყო. ეს უკანასკნელი არჩია და ფიქრობს, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. შემდგომში სამეცნიერო სტაჟირებებმა ევროპის უნივერსიტეტებში მისი კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინა – ევროპის მრავალ ქვეყანაში იყო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობისა თუ სტაჟირების მიზნით; შვეიცარიაში, ფრანგ, იტალიელ კოლეგებთან ერთად საერთო სამეცნიერო თემატიკაზე სამსრომებიც აქვს შესრულებული. აგრეთვე DAAD-ის (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის) სტიპენდიაც ჰქონდა მოპოვებული.

– ინგლისური ყველგან იყო საკმარისი, მაგრამ ჩავთვალე, რომ სასურველი იქნებოდა სხვა ენებიც მოსწავლა, – ამბობს ელენე, – ასე დავიწყე ჯერ ფრანგულს, შემდეგ გერმანულს, იტალიურს სწავლა, ახლა კი ესპანურს ვეუფლები. რასაკვირველია, ყველას ძალიან უხაროდა, როდესაც მათ ენაზე ვსაუბრობდი. ვცდილობ, არ დავივიწყო, პერიოდულად ორიგინალში ლიტერატურას ვკითხულობ ან ფილმებს ვუყურებ, ვუსმენ პოდკასტებს.

ენობრივი ბარიერის მოხსნა აახლოებს ადამიანებს, აადვილებს ურთიერთობებს და უმნიშვნელოვანესია პიროვნული განვითარებისთვის; პროფესიულად კი, თსუ-ში ქართულ და ინგლისურენოვან ჯგუფებში კითხულობს ლექციებს და ატარებს მეცადინეობებს, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მზადაა, ფრანგულ და ესპანურ ენებზეც ნაკითხოს ლექციები. სულ ახლახან მეტად საინტერესო ნიგნიც – „სამედიცინო ინგლისური დიალოგებში“ – მოამზადა. მას მალე გამოსცემს გამომცემლობა „დიოგენე“.

ერთი გატაცების შესახებაც ჩავეკითხე – ვიცოდი, რომ ახლახან წარმატებულად გამოჩნდა მისთვის სულ ახალ ასპარეზზე. 2021 წლიდან ხატვა დაიწყო. ძირითადად, ზეთში მუშაობს, თუმცა, რამდენიმე ნამუ-



შევარი აკრილშიც აქვს შესრულებული. როგორც ნამდვილი მეცნიერი, აქაც ნელ-ნელა ქმნის საკუთარ „სამხატვრო ბიოგრაფიას“. 2022 წლიდან მხატვართა ლიგის წევრია. უკვე 8 ჯგუფურ გამოფენასა და 3 საერთაშორისო ონლაინგამოფენაში აქვს მიღებული მონაწილეობა.

ძალიან საინტერესო ნამუშევრები აქვს ელენეს, ვიტყვი – შთაბეჭდავ ფერწერულ ნამუშევრებს ქმნის, დროის და ვითარების დარად შეფერილს; მისი ფერები დიდი ემოციის დამტევია, მისთვის დამახასიათებელ ხედვასა და შესრულების მანერას დამთვალეირებულზე დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია... აქაც მისი დახვეწილი სულიერება იგრძნობა, ისეთი, როგორც პროფესიაში, რადგანაც უსიყვარულოდ არაფრის კეთება შეიძლება, არცერთი წარმატების მიღწევა, საკუთარი შესაძლებლობები სრულყოფილად მხოლოდ ამ გზით წარმოინდება.

დარჯუნ კომლავა

